პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

ტარტაროზი

ფასი 10 კაპ.

№ 34 | კვირა, 31 იანვარი, 1926 წელი. | № 34

„სესხის უზრუნველსაყოფად პოლონეთი ამერიკას აძლევს თამბაქოს მონოპოლიას".

გაზეთებიდან.

ვასესხებ... კარგი საქმეა თამბაქოს მონოპოლია...
...და ისე მაგრად მოვსწევ, რომ: დაახრჩობს არწივს ბოლით.

„დედა და შვილი"

ვაით გზობე, უით გზარდე... შენგან შველას მოველოდი...
რას მიშვრები?!? არ მომიკვდე, არ დამადო გულზე ლოდი.
გამიმხილე, შვილო, დედას რა გტკივა და რა გაწუხებს...
ძლივს-ლა სუნთქავ, თითქოს ვილაც გიჭერს გულზე შენ მარწუხებს.
ჯერ სიცოცხლე არ გინახავს, ჯერ არ იცი ქვეყნის ბრუნვა...
შვილო ჩემო, ნუ თუ დედამ მოგაკელი შველა, ზრუნვა?!
ვაით გშობე, უით გზარდე... შენგან შველას მოველოდი.
რას მიშვრები, გენაცვალე, არ დამადო გულზე ლოდი!

„სტუმარ-მასპინძლობა"

„ვანდერველდემ ათი ათასი სტერლინგი აჩუქა ემიგრანტ მენშევიკებს".
(გაზეთებიდან).

მას ქამსა შინა—
და იმ ქამს აქეთ
არც თუ იმდენათ
დიდი ხანია:

—ევროპიელი
სტუმრების წვევამ
მასპინძელს თავი
მოაფხანია.

იყო განგაში,
გაწესრიგება:
—შენ აქ დადექი,
შენ კი მანდ ეგდე!

ხოლო სუფრის თავს
კი წამოსკუპდა
თვით მაკდონალდი
და ვანდერველდე.

„სურათების გამოფენა“

ბორჯომის დამზღვევ სალაროს თანამშრომელი შურა ასსაბაძე, ნაკელად იმისა, რომ წიგნაკებში ჩააკეროს, თავისთვის ინახავს ლამაზ ქალების სურათებს“.

ბოლოზა.



თინიკო, თამარა, სონია, ქსენია, მარუსა, ელპიტი, ნადია, ყენია, ანეტა, მანია, თებრონე, ფატია, მატრონე, დარუხან, ეფიზო, კატია... კარგი ხართ, ლამაზი ვით ია-ვარდები... გიცქერი,—და ამ გულს შორდება დარდები.

ხელიდან ხელში
გადადიოდა
შამპანიურით მუნ
სავსე თასი:
—კეკლუც „ჟორჟიენს“
ადღეგრძელებდა:
მადამ სნოუდენ და
ჰიუსმანსი.

—„ვივ, რესპუბლიკე“!
შესძახა შოუმ
და მოგრძო ყანწსაც
ხელი წააელო...
—ვივ, ფრანცუზია!
აწ შორაპნული
ფრანგულად ამბობს
ჩხეიძე კარლო.

ჰიუსმანსის ქალს
აქ სკობელევი
ვნებით გაუყრის
თვალებში თვალსა:
— თუ სამ ყანწსაც კი
ერთად არ დასცლის—
რაღა ბიჭია
გელაძე ვლასა

ისმის სიტყვები—
ღვინით ნაკერი,
ქალთა ფეხს სწვდება
თვალი გრძნეული:
—ყიფიანური
მართლა კარგია,
მაგრამ სჯობია
ნათარეული.

იმშევა გლეხი—
არა აქვს ჭადი;
იმშევა მუშა—
არა აქვს პური,
მაგრამ მთავრობას და
„ძვირფას სტუმრებს“
თავსასხმელად აქვთ—
შამპანიური!

—მთელი ევროპა
შურით უცქერის
დემოკრატიულ
ქართულ სამოთხეს!

—ქათინაური
აი, ამგვარი
კვლავ ვრცელდებოდა
კიდევ სამ-ოთხ დღეს.

მაგრამ მოწყენა
ლბინსაც სცოდნია—
ხო და სტუმრებსაც,
რომ მოეწყინა—

დიდი ხალისით
აიკრეს ბარგი
და უხალისო
დასტოვეს ბინა.

„წარვიდნენ წყალნი“
ახ, უკაცრავათ—
სოციალიზმის
ტურფა ვარდები:

ჰიუსმანსები,
სნოუდენები,
ვანდერველდე და
მაკდონალდები.

და არ გასულა
სტუმრების შემდეგ
წელი კი არა,
თუნდა თვეც ერთი:

—და მასპინძლებიც
მათ უკან გაყვენ,
ასე გაუწყრათ
„გამჩენი ღმერთი“.

მირზის მთავრობა
ჟორდანიასი,
არაგვიანი
როგორც არაგვი,

მიაქვთ გელათის
„წმინდა ხატები“
და კახურისაც
ცოტა მარაგი.

ფიქრობენ: რაკი
მცირე ხნით მივალთ,
ჩვენი მარაგიც
თან წავიღოთო:

—რა ქართველი ხარ,
თუ უცხოსთანაც
ქართული ღვინით
შენ არ ილოთო?

და გზას გაუდგენ
„ორიოდე თვით“
სულ მცირე ქამით
და მცირე ხანით—

„მენშევიკური
შორსმჭვრეტელობის“
მთელი უკუდო
სიგრძე—სიგანით.

მაგრამ კვირეებს—
თვეები მოყვა,
თვეს უკან წლებიც
გამოეკიდა—

თვით რამიშვილსაც
გამოელია
რაც მის ქვისლს ღირა
ზათომს ეყიდა.

თვითონ გელათის
წმინდა ხატებმაც
დაკარგეს თვისი
მადლი და ძალი:—

ცარიელ სუფრას
შუაში უჯის
მშიერი ნოე
ფით პატარძალი.

გამოილია
ნაფარეული,
გამოილია
აფხანაური,

აწ მინისტრები
თუმნობით არის
ხოლო... ფულათ არც
ერთი შაური.

—„ყოფნა არ ყოფნა“...
ჩხირი ამგვარი
იმათ ბორბალში
დღეს ვინ გაარჭო?

—ამხანაგებო!
ამ დიდ რთულ საკითხს
გაარჩევს სრულად
„მინისტრთა საბჭო“.

დასვეს საკითხი
და „მინისტრებიც“
რიგის მიხედვით
იქავე დასხეს:

—დიდ საქართველოს
დიდი საკითხი
უნდა გადაწყდეს
სრულებით აქ დღეს:

—თუ ვის მიმართონ
დახმარებისთვის,
თუ ვის დაუკრან
თავები დაბლა,

ვის მუხლმოდრეკით
ევედრონ, რომ მათ
აწ საარსებო
გადუგდან ტაბლა.

ილაპარაკეს,
იმსჯელეს კარგად
შემდეგ შეჩერდენ
თვით მაკდონალდზე.

მაგრამ... ვიღაცას
აქ მოაგონდა,
რომ ინგლისელნი
„ვაჭრობენ ნაღდზე“.

შოუს თვით რა აქვს
რომ ნოეს მისცეს...
ჯიბე სქელი არც
სნოუდენია:

—სტუმრებს რომ თავზე
ღვინოს ასხამდეს—
მას ჩვენებური
იზამს ბენია!

ლონისძიება
დაასახელეს
მათ არა ათი,
არამედ ასი:

მაგრამ სცვნეს:
შოუ გაკოტრებულა
უგრო შკაპიკოთ
სწევს ჰიუსმანსი.

—ვისთან მივიდეთ?
კითხეს ერაძეს—
—აბა რას გვირჩევ,
და ან რას იტყვი—

როგორც ვითარცა
„ჩონჩორიკნარევ
ხორბლიულობის
სპეცი მინისტრი?

სდუმდა ერაძეც
და დუმილს მისას
მშიერ მუცელთა
ვ[illegible]ოდა ბანი:

ფიქრობდა:—ვინც მე
გამამინისტრა
იმას მოუკვდეს
თავი და ტანი.

დიდი მსჯელობის
და დავის შემდეგ
გადასწყდა ერთხმად—
გადასწყდა ოხმოდ:

—კაცი გავგზავნოთ
ვანდერველდესთან
და ჩვენ საშველად
მას გამოუხმოთ.

მაისვე გამოუყვეს
დელეგაცია
ათი „მინისტრის“
შემადგენლობით—

რალხის ოოვლოთსაც
ეს ბატონები
ხშირად ხმარობდენ
ამ[illegible]ით).

და სთხოვეს
მეფე ალბერტის მინისტრს
ნიშნად წარსული
დამსახურების

—გაგზავნა მშიერ
ემიგრანტთათვის
ცოტაოდენი
რაღაც ფულების.

თურმე „სანთილი“
გზას არა კარგავს—
წამოგეწევა
გზაში ოდესღაც

და ღვაწლი
ქართულ მენშევიკურთ,
ნახსოვრებია
ვანდერველდესაც!

და თუმცა თვითონ
არა ქონდა რა,
ან რომ ქონოდა
რატომ იზამდა?

მადას მშიერი
მენშევიკისას
თავის ჯიბეთი
რათ მოპირავდა?

მანაც ბელგიის
გვირგვინოსნისკენ
აწ მინისტრული
მიაპყრა თვალი,

და სთხოვა... მშიერ
მენშევიკთათვის
რომ გადაეგდო
მას ნასუფრალი.

...და გადაუგდეს...
რა გადაუგდეს?
რა საჭიროა
მსჯელობა მეტი:

გული გულს იცნობს,
ნოე ვანდერველდს,
ორივეს ერთად
მეფე ალბერტი!

აქედან ვფიქრობთ:
თქვენ გამოიყვანთ
შემდეგ აზრსა და
თვით შემდეგ მორ[illegible]ის:

—„ღვთიური ეშმაკსაც
ხელზე აკოცებს,
როცა ფურთხებით
მასპინძლობს ოლარს“.
რა ვუყოთ თუ ცრუ
სოციალისტის
საკვები მეფის
ნასუფრალია,—
ეს ყველაფერი
ურწმუნო ხალხთა
რწმენაზე შემხმარ
ფურთხის ბრალია!

უჩარდია.

სტუდენტები

ჩვენი ახალი სტუდენტები ვერ არიან უნივერსიტეტისათვის საკმაოთ მომზადებულნი.
სინამდვილედან.



სტუდენტები პროფესორებთან ერთად მიდიან უნივერსიტეტში თავიანთი „ნივთებით“.

ლევარსი ლიხლიხაძე

აუარებელ წერილებს ვღებულობთ ჩვენი მკითხველებისაგან, რომლებიც თხოულობენ ლევარსის მთელი ცხოვრების თავგადასავალის აღწერას.

მართლაც—და საინტერესოა.

ამიტომაც ჩვენ შევეცდებით, შეძლებისდაგვარად დავაკმაყოფილოთ მკითხველის კანონიერი მოთხოვნილება. თანაც ჩვენი ვალდებულებაა ასეთი იშვიათი ადამიანის ცხოვრება და თავგადასავალი აღწერილი გადავსცეთ ჩვენს შთამომავლობას, რომელიც მომავალში, ცხადია, შარავანდედით შემოსავს და უკდავს ჰყოფს ლევარსის სახელს.

კმარა რაც დანაშაულობა ჩაიდინეს ჩვენმა წინაპრებმა, მით რომ არ აღწერეს და არ დაგვიტოვეს მრავალი ჩვენი მნათობთა ცხოვრება.

განა არ ვიცით, რუსთაველის ცხოვრების და თავგადასავალის გამოსარკვევად რამდენი შრომა დაიხარჯა და მაინც ვერაფერს გავხდით?

არა, ჩვენ ვერ ჩავიდენთ ასეთ დანაშაულს.

ამასთან ერთად საჭიროდ მიგვაჩნია განვაცხადოთ, რომ ბევრი ღირსშესანიშნავი მოვლენა დაგვირჩება აუწერელი ლევარსის ცხოვრებიდან. დანაკლისი, დეე, მომავალმა თაობამ შეავსოს.

აქა ამბავი ლევარსის გამიჯნურებისა

გაზაფხულის დღე იყო.

ლევარსი ყანაში მიდიოდა, როცა თვალი მოჰკრა ედუკის, რომელსაც მხარზე წყლის სავსე დოქი გაედგა და წყაროდან სახლში შედიოდა.

ლევარსის ედუკიზე უწინაც რჩებოდა თვალი. ხშირად ჩაიარდა შარაზე, რომ თვალი მოეკრა მისთვის.

ყოველთვის მოსწონდა, მაგრამ ეხლა ისე ლამაზი და მიმზიდველი იყო ედუკი, რომ ლევარსიმ ველარ მოითმინა და ქვა ესროლა, რათა ედუკის უკან მოეხედა. ქვა დოქს მოხვდა, დოქი გატყდა და ედუკი მთლად დასველდა.

როცა მოიხედა და ლევარსი დაინახა, ძალიან ლაზათიანად შეუკურთხა.

— ნუ გაჯავრდები, ედუკი, თორემ მალე დაბერდები... გეხუმრე, ქალო... განა ხუმრობის ატანა არ შეგიძლია!? მაგისთანა დოქს ორას გიყიდი და მოგიტან... აკეთლებს ოზურგეთში საპარასკეოზე იმდენი მოაქვს, რომ ქვეყანას ეყოფა.

— ხომ ხედავ: როგორ დავსველდი?—კაპასობდა ედუკი.

— ნუ გეშინია... შაქარი ხომ არ ხარ, რომ დასველებით დადნე?! ხა-ხა-ხა-ხა... მართლა, ედუკი, მე ვდნები შენი სიყვარულით, ისე როგორც, თუ გინახავს, ტაფაზე ღორის ქონი—

— უი, ღმერთი კი გაგიწყრეს რას ამბობ—შერცხვა ედუკის და დარცხვენილი შევარდა სახლში.

ამ ამბის შემდეგ ლევარსის მოსვენება დაეკარგა. ძილშიაც კი ედუკი ეჩვენებოდა.

ლევარსის საიდღანაც გაგონილი ჰქონდა, რომ: ვინც შეშჭამდა მარილიან კვერს, იმ ღამეს მას დაესიზმრებოდა თავისი საცოლო (თუ საქმრო).

ლევარსიმ ჩუმად გამოაცხო მარილიანი კვერი და შესჭამა.

დაეძინა... აუტყდა წყურვილი... ჭურჭლებში რაც წყალი იყო, სულ დალია... ბოლოს იძულებული იყო შუაღამეზე წყაროზე წასულიყო.

— ნუ თუ ედუკი არ არის ჩემი საცოლო?.. ანდა თუ სხვა არის, რატომ არ დამესიზმრა? ნუ თუ სტყუიან ეს დედაკაცები?—ასე ფიქრობდა წყაროზე მიმავალი ლევარსი.



მრგვალი მთვარე ცაში ცურავდა. ქვეყანა ლევარსის ეხლა უფრო ლამაზი ეჩვენებოდა...

— ხალხს რომ სილამაზის გაგების უნარი ჰქონდეს, დღითი იძინებდა და ღამით იმუშავებდა - გაიფიქრა ლევარსიმ.

— წადი... წადი... იქნებ ეხლა ედუკი ფანჯარასთან ზის და შენ გელოდება?! წადი ლევარსი... მერე რა უყოთ, რომ სიზმარში ვერ ნახე... ანდა როგორ უნდა გენახა, როცა ყოველ წუთში წყალი გწყუროდა... წადი, წადი ლევარსი... ეს მთვარე გზას გაგინათებს... წადი, წადი ლევარსი... იქნებ ედუკი გიცდის,—და სირცხვილია, რომ არ მიხვიდე... მას ეგონება ტურის შეგეშინა და მიჯნური ვერ ნახე... წადი, წადი ლევარსი—ვიღაც უხილავი ჩასძახოდა ლევარსის ყურში ამ სიტყვებს...

ლევარსიმ ლობედან სარი ამოაძრო, ეშმაკს წააფურთხა, პირჯვარი გადისახა და ედუკის სახლისაკენ წავიდა.

ფრთხილად ჩაიპარა ეზოში. მშიერ ბებერ ძაღლს ისე დასძინებოდა, რომ არც კი გაუგონია, როცა ლევარსიმ ლობეზე გადასვლის დროს ფეხი წამოჰკრა მისივე სარს და ბრაგვანი მოადინა. კარგა ხანს ეგდო ლევარსი მიწაზე წაყურებული... მის გულს ისე გაჰქონდა ბაქი-ბუქი, რომ ძაღლს ჩაესმა და ერთი შეიყეფა, მაგრამ მისუსტებულს ადგომის თავი აღარ ჰქონდა და ისევ ძილს მისცა თავი.

ნელ-ნელა წამოჰყო ლევარსიმ თავი... გაიხედ-გამოიხედა... მშვიდობიანობა იყო... და ფეხაკრებით მივიდა ფანჯარასთან, სადაც ედუკი იძინებდა... ოი უბედურებავ, ძაღლს იქავე ეძინა და ლევარსიმ ფეხი წამოჰკრა... ძაღლს გაეღვიძა, მაგრამ პატრონი ეგონა და ენაც არ ამოუღია; ლევარსი კი შიშმა აიტანა. შეშინებულ ველურ ღორის ჯაგარივით ყალყზე დადგა მისი თმები და ყაბალახი გადაუვარდა თავიდან... ძაღლმა ნამძინარევი თვალებით ლევარსი პატრონში ვერ გაარჩია. (აი, როდის ვერ ცნობილობს ძაღლი პატრონს).

ლევარსის ხელად მოაგონდა, რომ ჯიბეში მარილიან კვერის ნატეხი ჰქონდა... ამოიღო და ძაღლს უთავაზა... ძაღლი გამოცოცხლდა,—და ხარბად დაეძგერა საჭმელს... სჭამდა და ხშირად ლევარსის შეხედავდა, თითქოს ეუბნებაო:

— რაც გინდა ის ჰქენი... განა ჩემი პატრონი ღირსია, რომ მას ერთგულად ვემსახურო?

დიდხანს იყო ლევარსი ატუზული ფანჯარასთან, ოდის კედელზე. მაგრამ ედუკი არსად სჩანდა. ბოლოს ის იყო წასვლა დააპირა, რომ ედუკის ოთახში რაღაც ხმაური მოესმა...

ლევარსის დასცხელა... დააყურა... მკაფიოდ მოესმა... ეს ედუკი იყო... ლევარსის ტანში უცნაურმა ჟრუანტელმა დაიარა.

რა ხმაურიც ოთახიდან ესმოდა, თითქოს ეს ხმაური

გარედ გამოვიდა და წყლის ჩხუილს შეუერთდა... დაუსრულებლივ უსმოდა ლევარსის ეს ჰარმონია.

საამურმა ფიქრებმა ლევარსი ოცნების სამეფოში გაიტაცა...

და მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა ფანჯრიდან თავზე გადაასხეს...

— გიქენით კი ქვია... რა მიქნა ამ ქალმა, აი ღამის უსუფთაობა რომ თავზე გადამარო?.. მოდი და შეიყვარე კაცმა ასეთი უზრდელი ქალი... ფუი, შეგარცხვინა ღმერთმა—და გაბრაზებული ლევარსი წავიდა.

ძაღლი ჯანზე მოსულიყო და ლევარსის ყეფით გამოედევნა, მაგრამ ლევარსიმ ლობეზე გადაასწრო და სამშვიდობოზე გავიდა.

— მიყვარს და რა ვქნა?.. მერე რა ვუყოთ! განა ედუკიმ იცოდა, რომ მე იქ ვუდარაჯებდი?.. რომ სცოდნოდა, თავზე არ გადამარებდა... პირიქით: იქნებ კიდეც გამოსულიყო გარედ,—და... ვაი სულო, რა კარგი იქნებოდა.. თუ მეღირსა შენი ცოლობა, თეთრ ჰურსავით დაგლეველავ— ასე ფიქრობდა ლევარსი იმ ხანებში და ედუკის თავის წინაშე ბოდიშს უხდიდა.

რომ ედუკი გულზე არ გასულიყო, ლევარსიმ სიარულს უკლო ედუკის ეზოს მახლობლად... ამავე დროს, ვერ ისვენებდა...

მაგრამ მალე ნახა გამოსავალი.

ეზოში მაღალი ხე იყო... ლევარსი ავიდოდა ზედ და მწვერვალიდან იცქირებოდა ედუკის სახლისკენ...

მის წინ გადაშლილი იყო მთელი არე-მარე... ცა მიწას და ზღვას უერთდებოდა ოქროს რგოლით... დიდი სივრცე იყო და ლევარსი თავისუფლად სუნთქავდა სუფთა ჰაერს.



ედუკის სიყვარულმა ლევარსის შეაყვარა მთვარიანი ღამე და მაღალ ხის მწვერვალზე ჯდომა... ყველა ამან ლევარსში გააღვივა პოეტური ნიჭი, რომელიც ალბად თან გამოჰყვებოდა დედის საშოდან. მაგრამ სიყვარული რომ არ შეჰყროდა, ვინ იცის, დაინთებოდა თუ არა მასში პოეტური ცეცხლი.

ლევარსი ქაღალდით და ფანქარით ავიდოდა ხის მწვერვალზე, გადახედავდა არე-მარეს, მუზები თავს დასტრიალებდენ და სწერდა ედუკის ქებათა-ქებას.

სანიმუშოთ მოვიყვანთ ერთ მის ლექსს:

მე შენზე ფიქრი არ მასვენებს
დედა-მიწაზე;
მინდა მოვშორდე და ავფრინდე
ღრუბლებში ცაზე.
კიბეს მივადგამ და ამოვალ
ამ მაღალ ხეზე.
მინდა აქედან გადავუხტე
პირდაპირ მზეზე.
გადმოვიხედავ მე შენსკენ და
მესხმება რეტი...
ჩემო ედუკი, ისე მიყვარხარ...
რა გინდა მეტი.
ავკანკალდები მათხოვარსავით
შენს დანახვაზე.
თავის საკლავად გალესილი
მაქვს დანა ქვაზე.
მარილიანი კვერი შეესჭამე
შენ რომ მენახე...
წყლით გავიბერე გუდასავით,
მაგრამ ვერ ვნახე.

ერთხელ მოვედი პაემანზე,
მაგრამ რა ჰქენი?!
თავს გადამასხი უსუფთაობა
იმ ღამის შენი,—
და დამასველე, ისე როგორც
მე დაგასველე,
როცა გეხუმრე და გაგიტეხე
წყლიანი დოქი.

გამიტყდა გული შენზე, როგორც
დოქი, ჭარიკა...
თუ გიყვარვარ,—ბარემ მიშველე,
აბა... არიქა...

შენსავით კაი ამ ქვეყანაზე
მე სხვა ვერ ვნახე...
მთვარეს ვადარე მშვენიერი
მე შენი სახე.

თუ არ გიყვარვარ,—მე თავს
დავიხრჩობ ზღვაში...
და დაქერივდები გაუთხოვარი...
რას იზამ მაშინ?!
რომ მესვეწო, არ გავცოცხლდები
მე შენს ჯინაზე.
დიახ! ასე ვიქმ... აბა რას იზამ?
კიდევ ინაზე!-?
როგორც ბაღანა ატირებული
თხოულობს მჭადსა,
მეც ისე ვსტირი და ვერ უძლებ
ასეთ დიდ დარდსა.
ვით შავი რწყილი ისე მწარედ
შენ გულს უკბინე...
მიჰბაძე ერთხელ ყველის ვაჭარს
და გაიცინე.
ხომ მართალია: უნდა გათხოვდე
ადრე თუ გვიან...
განა ვერ ხედავ ჩვენი ღლეები
თუ როგორ რბიან?
რა გენაღვლება... მე გეუბნები,
თანაც გაფრთხილებ.
(თუმცა მე ვიცი შენ კარგი ხარ,
არ გამაწბილებ)
ჩემი ხარ ჩემი და არ დაბერო
ამაზე ღრინი,
თორემ, იცოდე, დამეკარგება
ჭკუა და ტვინი...
და რაც მოხდება, დამნაშავე
მე არ ვიქნები,
შურს ვიძიებ და ჭუჭულსავით
შენ გაიქნები.

ზმუკი.

„დ ა გ რ უ

ბერშანიის მთავრობა და სოციალ-დემოკრატები ყოფილ მეფეს თანახმად ბისი მოთხოვნი

ალბად მეფე ვილპელმი ტახტის დაბრუნებასაც მოითხოვს მალე... მას ამედი აქვს, რომ

საუბარი

ინტერვიუ პასუხსაგებ საქმეებით დატვირთულ ამხანაგთან

ტარტაროზის დავალებით ვინახულე... ვინ? ამას არ გეტყვით, რადგან ტარტაროზის მკვიდრთ არ სჩვეოდათ საიდუმლოების გამხელა და ესეც არ იყოს—პასუხისმგებელ ამხანაგს არ უყვარს თავის გამოჩენა.

საამისოთ, მოგეხსენებათ, თქმულებაც არსებობს, როდესაც ერთ ჭკვიან ადამიანს ჰკითხეს:—რა განსხვავებაა დიდ კაცსა და პატარა ციკანს შორისო, მან დარბაისულათ მიუგო:

— ციკანი სულ „მეე-მე-მეე-მეე“-ს გაიძახის, ხოლო დიდი კაცი თავის „მეზე“ არასოდეს არ ლაპარაკობსო.

ან, რა საინტერესოა ვინმესათვის თუ „ამან ან იმან“ რა სთქვა? მნიშვნელობა იმასა აქვს თუ—რა სთქვა?

ამიტომ თქვენც იმით დაკმაყოფილდით, რასაც აქ წაიკითხავთ **„იმის ნათქვამის“** შესახებ.

შევედი. სახემოქანცული დამხვდა. კარანდაში ყურში გაერჭო, ხოლო მარჯვენა ხელის ნეკის წვერით ცხვირის მარცხენა ნესტოს იკირტნიდა.

შემეკითხა:

— რა გნებავთ?

ვუპასუხე:

— თქვენთან ტარტაროზმა საინტერვიუთ გამომგზავნა. **იმან** შუბლი მოიღრუბლა, თვალები წმინდა შუშანიკასავით მინაბა და ღრმა ამოოხვრით, რომელსაც თითქოთ თან ამოატანა პასუხსაგები ფიქრები—მითხრა:

— ხომ იცით, რომ ერთი წამი მოსვენება არა მაქვს?!

მე:—ჰმ! საქმეებით რომ დატვირთული ხართ, ეს ფერზეც გეტყობათ, მხოლოდ მიბრძანეთ როგორია საერთაშორისო მდგომარეობა.

მან:—მოგეხსენებათ, მე საერთაშორისო პოლიტიკაში არ ვერევი, მხოლოდ ერთი რამის დადასტურება შეძლია გითხრათ: თუ საფრანგეთში ფრანკის კურსმა არ აიწია, იგი მომავალში დაწეული იქნება.

დიდი მნიშვნელობა ეძლევა ჩემბერლენის მიერ მუსოლინის ნახვას, რადგან დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ჩემბერლენი ტყუილა არ ნახავდა მუსოლინს და ალბათ ისინი კიდეც ილაპარაკებდენ ერთმანეთთან რამეზე, და თუ რაზე ილაპარაკებდენ—ამას მომავალი გვაჩვენებს და დაგვანახვებს. ისე საბჭოთა ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს, რომ მსოფლიო რევოლიუცია ვერ გაიმარჯვებს, თუ მსოფლიო იმპერიალიზმი არ დამარცხდა!

მე:—გთხოვთ გვიბრძანოთ—როგორია ამჟამად საბჭოთა მეურნეობა და რა აზრის ბრძანდებით თქვენ მის მომავალზე?

მან:—საბჭოთა მეურნეობა წინ მიიწევს. ეს განსაკუთრებით ითქმის კოოპერაციაზე. მოსახლეობა ჩაბმულია კოოპერატიულ საქმიანობაში. წარმოიდგინეთ კოოპერატიული საქმიანობით კერძო ვაჭრებიც კი დავაინტერესეთ; ისინი დიდი ხალისით აღებ-მიცემობენ კოოპერატივებთან და შედეგიც თვალსაჩინოა:—კოოპერატივის საქონლის დიდ უმრავლესობას ვაჭრები ასაღებენ: დღემდე კი ასე არ იყო; ქუდი რომ შეგიგდოთ, კოოპერატივებში არ შევიდოდენ. რაც შეეხება ინვალიდთა ნადებს—უნდა სიმართლით აღვნიშნო ჩემი გულისნადები, რომ ინვალიდების კოოპერატივებს დიდი გამოჯანსაღება დაეტყო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სათავეში დახელოვნებული ვაჭრები მოექცენ.

გასულ წელს სოფლად თხილის შეყიდვის ოპერაციები წარმატებით დამთავრდა.

განზრახულია მომავალში წარმოკავშირმა მოაწყოს ომბალოს და პიტნის საზღვარ-გარეთ გაზიდვა.

მართალია, კოოპერატივებში აქა-იქ ადგილი ქონდა

ნ ე ბ ა“

ლებისა. უბრუნებენ ძონებას, რომელიც გერმანიის რევოლიუციის დროს ჩამოერთვა ბეუნს.
ერმანიის ეხლანდელი მთავრობა და სოციალ-დემოკრატები უარს არ ეტყვიან.

მფლანგველობას, მაგრამ გაფლანგული ფული ძირითადი თანხის 80 პროცენტის მეტს არ შეადგენს და ამ მხრივაც მომავალს შეგვიძლია იმედიანათ უცქეროთ.

მე:—როგორ ხორციელდება ლოზუნგი:—**პირით სოფლისაკენ?**

მან:—ამ მხრივ ჩვენ საქმიანობას ცოტა შეფერხება ეტყობა, რაც სავსებით ზამთრის პერიოდს უნდა მიეწეროს. ზაფხულზე ეს საქმე გამოცოცხლდა და თქვენ ალბათ გახსოვთ თუ რა გაცხოველებით მიემართებოდენ სოფლისაკენ ავტომობილებით, ეტლებით და მატარებლებითაც.

იმ დროს ჭამა და სმასაც თავისი მომხიბლავობა ჰქონდა ბუნებაზე და ვფიქრობთ ჩვენი მუშაობის გაცხოველება ამ მხრივ უნდა მომავალ ზაფხულამდე გადავდოთ.

მე:—როგორია სწავლა-განათლების საქმე?

მან:—ამ მხრით საქმე გაუმჯობესებულია. ყველაფერი ზედმეტი, რაც ჩვენ სკოლებს ამძიმებდა-ჩამოვაცილეთ. ასე მაგალითად ბევრი სკოლა განიტკირთა: ფანჯრებიდან, ღუმელებიდან, პარტებიდან და სხ. მასწავლებლებს სესხათ დაურიგდათ თითო მანეთი, შვიდი შაური და სამი კაპ. ასე, რომ ამ ზამთარში ისინი უზრუნველყოფილნი არიან.

მე:—თუ მოგვარდა ტრანსპორტის საქმე?

მან:—მოგეხსენებათ ჩვენი აღებ-მიცემობისათვის ტრანსპორტს დიდი მნიშვნელობა აქვს. მე მოგახსენებთ, რომ ტრანსპორტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ერთი სიტყვით ტრანსპორტს ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს. ტრანსპორტი ხომ კავშირის გამბმელია სხვადასხვა სოფლებსა და ქალაქებს შორის. ჰო-და რაც უფრო მოწესრიგდება, რაც უფრო ჩქარა ივლის ტრანსპორტი—მით უკეთესი. ამ მხრივ მიღწევებს ვერ დავემდურებით. მსუბუქი ავტომობილების სისწრაფემ ქალაქის ქუჩებზე ზედმიწევნით იმატა, ხოლო კახეთის მატარებელი ამჟამად უკვე საათში ორ ვერს-ნახევარს გადის და გურჯაანში მისვლას თბილისელი მოქალაქე უკვე ორ დღე-ნახევარის მეტს არ უნდება.

მოსამსახურეთა პირად შემადგენლობასაც აქვს ყურადღება მიქცეული:

— ჩვენი რევიზორები დღეში ერთხელ მეტად აღარ თვრებიან, ხოლო მემუხრუჭენი ფხიზლად დარაჯობენ მათ მოსვენებას.

მე:—როგორია მუშაობა პროფკავშირებში?

მან:—ო, მაგაზე ნურც შემეკითხებით. საქმე ძდეალურათაა დაყენებული. პასუხისმგებ. მდივნები სრული პასუხისმგებლობით ეპყრობიან თავიანთ მოვალეობას და ამ გვარად ადმინისტრაციას სრული უფლება აქვს სამსახურში ვინც სურს ის მიიღოს. ადგილკომებსაც ადგილი ტყუილად არ უჭერიათ:—ჯამაგირს დროზე იღებენ, კრებებსაც სისტემატიურად იწვევენ ყოველ ოთხ თვეში ერთხელ. კულტმუშაობაც საგრძნობ სიმაღლეზეა:—ნარდი და ბილიარდი თითქმის მუშათა ყოველ კლუბს მოეპოვება—დასაზღვევი ანარიცხებიც დროზე გროვდება: დღემდე მხოლოდ დაწესებულებათა 99 პროცენტს აქვს შეუტანელი შარშანდელი ანარიცხები, თორემ დანარჩენმა ნაწილმა სრულიად შეიტანა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს საქმეც კიდევ უფრო გაუმჯობესდება.

ზიპო.

სიკვდილის კლანჭებში

ერთი უცნაური ამბავი.

თორმეტი საათი სრულდებოდა.

ერასტი მშვიდობიანად განაგრძობდა მუშაობას თავის მაგიდასთან.

ოთახშიც და ერასტის გულშიც სრული სიმშვიდე სუფევდა. არ იყო არავითარი ნიშანი, რომ დღეს ერასტის ერთი ახირებული ამბავის მთავარი გმირი გახდებოდა.

როგორც კი საათმა თორმეტი დაჰკრა, ერასტიმ ამოისუნთქა, დაადგა კალმისტარი, გასწორდა წელში, და დააპირა ჩაის შექცევა.

მოათავა ჩაის სმა, გადაყლაპა უკანასკნელი ყლუნწი, სახე შეწითლებულმა, გადაისვა შესველებულ ულვაშებზე ხელი.

ის იყო, ისევ მუშაობის გაგრძელებას უნდა შესდგომოდა, რომ უცბად ჭრიალით გაიღო კარები და ოთახში პორტფელით იღლიაში ვიღაც კეპკიანი ახალგაზრდა შემოვიდა.

შემოსულმა ერთის შეხედვით გადაავლო თვალი მთელ ოთახს და დადგა.

თითქოს არ იცოდა ვისთან მისულიყო...

იგი ყურადღებით ათვალიერებდა სათითაოდ ყველა თანამშრომლებს და თანდათან მისი სახე მკაცრ გამომეტყველებას ღებულობდა.

ახალგაზრდის ასეთ უცნაურმა მოქცევამ მოსამსახურეებში რაღაც იქვი დბადა. მათ მიატოვეს მუშაობა და ახალგაზრდას შეაჩერდენ.

ერასტის ფერი ეცვალა. მის ჟინჟღილივით სახე, ეხლა მკვდარისას დაემსგავსა. წამოდგა ზეზე, და იგრძნო, რომ მუხლებში აძიგძიგებდა.

ბოლოს პართფელიანის ყურადღება ერასტის შეწითლებულმა სახემ მიიპყრო. თითქოს მან იპოვა ის, ვისაც ეძებდა და ღიმილმა გადურბინა ტუჩებზე.

ერასტის გულმა ცემას მოუმატა.

„—დასწყევლოს ღმერთმა,—ჩაიბურღღუნა ერასტიმ თავისთვის,—რას ნიშნავს ყველაფერი ეს?!.—და ცარიელ ჭიქას მიაჩერდა.

„—იქნებ მუშაობის დროს ჩაის დალევა აკრძალულია?.. იქნებ ეს ვაი მუშათა და გლეხთა ინსპექციიდანაა მოგზავნილი?..

მოსამსახურეებმაც, ალბად, ასე იფიქრეს, ყველა თავიანთ ქაღალდებს ეძგერა, თითქოს აქ არაფერი ამბავიაო. გაშმაგებით განაგრძეს მუშაობა.

ასევე აპირებდა ერასტიც, რომ ახალგაზრდა მისკენ წამოვიდა და თან პორტფელში რაღაცას ძებნა დაუწყო.

— მე ვარ აგენტი...—დაიწყო მან, მაგრამ დანარჩენის თქმა ვეღარ მოასწრო, რომ პორტფელი გაუცურდა ხელიდან...

ერასტის ფერი ეცვალა. მისი ჟინჟღილივით სახე, ეხლა მკვდრისას დაემსგავსა. წამოდგა ზეზე, და იგრძნო, რომ მუხლებში აძიგძიგებდა.

„—ჩეკის აგენტი...—გაუელვა თავში. უეჭველია დასატუსაღებლად მოვიდა. და ცხადია ორდერს ეძებდა...

თვალებში დაუბნელდა. მის წინ კედელზე მიკრული ტროცკის სურათი იქი-აქეთ ქანაობდა.

ამასობაში ახალგაზრდამ შეკრიბა გაბნეული ქაღალდები, მოიტანა ახლოს თავისუფალი სკამი და დაჯდა.

„—მე მზათა ვარ..—აორთოლებული ხმით წაილუღლუღა ერასტიმ, და გაშტერებული თვალებით ოთახს უაზროთ გადახედა. დაფრთხალი მოსამსახურეები გაკვირვებით შესცქეროდენ მას.

ყველაფერი ეს უეცრათ და უცბათ მოხდა.

ახალგაზრდამ შეავლო თვალი ერასტის. ეტყობოდა, თითქოს ის თვითონაც სწუხდა, რომ ასეთი მძიმე მოვალეობის ასრულება უხდებოდა.

ერასტი მიხვდა ამას და თვალებზე რაღაც სისოვლე მოადგა.

„—დაბრძანდით,—თქვა ახალ მოსულმა და ერასტის წინ რაღაც წიგნაკი დაუდო. იქნებ თქვენ გსურთ სიცოცხლის დაზღვევა... საუცხოო პირობებია...

„—სიცოცხლის დაზღვევა... რას ნიშნავს ეს?..

— ეხლა კი დავიღუპე...—გაიფიქრა ერასტიმ და ჟრუანტელმა დაუარა თავიდან ფეხებამდე. უეჭველია, დახვრეტა მომელის... დამცინის კიდევაც...

„—მერე რისთვის?.. რა დავაშავე?.. აჯანყებას მე არ ვაწყობდი. თოლი არ გამითლანგავს?.. რა დავაშავე, რა?!.

გულზე რაღაც საშისლად მძიმე აწვებოდა... ახალგაზრდა კი საძაგლად იღიმებოდა.

— მე ვარ დამზღვევ საზოგადოების აგენტი.—განაგრძო მან,—და მონდობილი მაქვს მსურველების სიის შედგენა... პირობები უკეთესი არ შეიძლება...

ჯერ სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა, შემდეგ კი ხარხარი ატყდა. ერასტი მოქანცული დაეშვა სკამზე.

ყურების არ სჯეროდა.. მაშ, იმას აღარ დახვრეტენ...

ამასობაში აგენტი დაწვრილებით ეხსნიდა ერასტის, თუ რაში მდგომარეობს სიცოცხლის დაზღვევა, და მოსამსახურეები კი ძლივს იკავებენ სიცილს.

სხვებთან ერთად ერასტიმაც დაიზღვევა თავი, რისთვისაც უნდა ეხადა ყოველთვე სამ-სამი მანეთი ათი წლის განმავლობაში. და თუ ის ამ ვადაზე ადრე მოკვდებოდა მისი მემკვიდრე მიიღებდა ათასს მანეთს. თუ კი ცოცხალი დარჩებოდა შეგროვილ ფულს უკანვე დაუბრუნებდენ.

ერასტი მარტოხელა კაცი იყო, საკუთარ თავსი გარდა არავინ გააჩნდა. ამიტომ საღილი, საუზმე და სხვა

იმ საღამოს ერასტი ერთ ამხანაგთან იყო. თერმეტი საათი იქნებოდა, როცა მისგან გამოვიდა და შინისაკენ გამოეშურა.

მუდამ რესტორანებში და საჩაიეში ჭმონდა.

როცა ქუჩაზე გამოვიდა, განიზრახა აქ სადმე ახლომახლოს ევახშმა, რომ ღამე მშიერ კოჭით არ დაწოლილიყო.

ძებნა დიდხანს არ დაჭირვებია. ორი ნაბიჯის შემდეგ წაადგა აბრას, რომელზედაც სიტყვა-სიტყვით ასე ეწერა:

აზიათსკი რესტორან
ოფშკვითი
АЗЯТСКИ РЕСТОРАН
ОПШКВЫТЫ

ალბერტში ძისი თვალები ისე ელავდენ, როგორც ორი ხაკვერჩხალი.

ამ რესტორანზე ერასტის ბევრი ყოფილი ამბავი ჰქონდა გაგონილი, თუმცა ამ სტუმრობის თვითონ შემთხვევა არ ჰქონია.

რამოდენიმე წუთის შემდეგ ერასტი მაგიდას უჯდა და კუჭის მოთხოვნილებებს სიამოვნებით აკმაყოფილებდა და ფეშკაშად ხედ კიდევ წითელ „წინასდალს“ აყოლებდა.

ადგომას და წასვლას აპირებდა. როდესაც მისი ყურადღება ძეზობლების საუბარმა შეიპყრო.

ბნელ კუთხეში მაგიდას შემოჯდომოდა სამი კაცი. და ერთი. როგორც სჩანდა, კოგათ ჩაცმული და საკმაოთ ლამაზი ახალგაზრდა ქალი შაპის მაგივრად, ისინი უფერო ლაპარაკში იყვენ გართული.

„—ელენე, უნდა დათანხმდეს.—სთქვა ერთმა ევროპიულად ჩაცმულმა და ულაშებ გაპარსულმა ახალგაზრდამ.

ალბად, ელენე სწორეთ ეს ლამაზი ქალი იყო.

მან ასწია დახრილი თავი და ბოლოს გაღებას აპირებდა. ამ დროს მის გვერდში მჯდომმა ჩოხოსანმა მოსაუბრემ აღელვებით გაწყვეტინა.

„— დეიღუპოს იქით!. მაგისგან დედაძისს არ უნახავს ხელი, და ჩვენ რას ვხახავთ... წევიდეს და რაც უნდა ის ქნას. მაგი ჩვენი ანუხანაკი არაა!..

ქალმა მესამე მოსაუბრეს გადახედა. ამ მესამეს ერასტისაკენ ზურგი ექცა და მიქცეული. ქალის შემოხედვას ეს მესამე დამ იდებულ მდუმარებით შეხვედა.

„— ელენე,—დაიწყო ისევ ულაშებ გაპარსულმა.— თახანმა ხარ?.. თუ არა. მაშინ სხვა გზას გამოვნახავთ...

ქალი რაღვაში იყო.

იგი მეტი ყურადღებით უსმენდა ამ მესამე მესაუბრეს ქალი თითქოს საკითხის გადაწყვეტას სწორეთ მისგან ელოდა. მაგრამ იგი სდუმდა.

ზიზღის ღიმილმა გადაკრა ქალს სახეზე.

„— რაც გინდათ ის ქენით. ჩემთვის სულერთია....

„—მაშ ყველაფერი მზად არის.—წარმოსთქვა ულვაშიქ გაპარსულმა.

მესამეს ზურგი ისე მოიკაკვა, თითქოს იმისი პატრონი ასი წლის ყოფილიყოს

ამის შემდეგ ბაასი შეწყდა.

ერასტის ერთხანს ესმოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტათ მათი საუბარი. მაგრამ გულისყური ვერ დაატანა. ბოლოს მასპინძელს გასწორდა და ქუჩაში გამოვიდა.

შუალამე იყო.

ქუჩაში საშინლად ბნელოდა.

არსად ადამიანის ჭაჭანება არ იყო.

მხოლოდ ცივი, სუსხიანი ქარი თუ გაიქროლებდა ხარდისხან.

მართლაც. ერასტი საკმაოდ შიზარხოშებული იყო, მაგრამ მაინც მაგრად მიაბიჯებდა. არც არაფრის ეშინოდა. რადგან ამ ქუჩას როგორც თავის ხელისგულს. ისე იცნობდა.

როდესაც პირველ მოსახვევში შეუხვია. საათგანაც ვეიბერთილა შავი კატა გამოხტა და შურდულივით ფეხებში გადაჭრილა.

„— დაგწყევლოს ეშმაკმა!... შეიკურთხა ერასტიმ, და ეჯავ თითქოს მიხვეთ. შუა ქუჩაში დადგა და ერასტის მიაჩერდა. ღამეში მისი თვალები ისე ელავდენ, როგორც ორი ნაკვერჩხალი.

ერასტი რაღაც შიშმა შეიპყრო, თვალისდახამხამებებში დაავლო ხელი ქვას. ძუნძულით გაიქცა იქით. სადაც ავი თვალები ცეცხლებივით კრთოდენ. რა ის იყო ზურგზე ქვა მიაკისთვის წელში უნდა ჩაენარცხებია. რომ ეგრძნო ფეხებიდან ნიადაგი ეცლებოდა და წონასწორობა დაკარგული საითაც მიეჭანებოდა.

ცეცხლიანი თვალები სადღაც ზევით, ცაში დატრიალდენ და მოწყვეტილ ვარსკვლავებივით გაქრენ.

შემდეგ მხრებით რაღაცა მაგარს სასტიკათ დაეჯახა და იგრძნო რომ თავდაყირა ეკიდა. სინესტის და მყრალ ტალახის სუნი ეცა ცხვირში. გარშემო კუპრიანი ღამე იყო...

სინემატი.

(შემდეგი იქნება).

ძმა-ბიჯები

ჩოხატაური.

პირველად ეპოს ვუმღერებ
ჩვენებურ ქათინაურსა...
ღმერთმა გაშოროს სუყველა
ერასტოს აურ-ბაურსა.
იქიდან ნელი წამოვალ,
შარაც არა მაქვს დიდია
და მივადგები აფთიაქს;
იქ ავათმყოფნი მიდიან.
გამგე ახალი კაცია,
ყოფილზე მოსარიდია;
ხალხი უწამლოდ რომ კვდება,
იმას ფეხებზე ჰკიდია?
ჩსურდა რომ ბანკიც მენახა
და მისი დირექტორია;
დებეტ-კრედიტი. ბალანსი
დედანთან თუა სწორია.
შემოვალ ისევ ბაზარში
ვნახავ ცნობილსა ვანესა;
იგორ, წმინდა ბასილი
და ყინყლის თავი ალექსა.
წარმოკავშირთან გაიჩერდი,
ანგარიშობდენ ვალებსა...
ვიკი ბევრს მიაგინებენ,
ვინც ეს წერილი გალექსა.

ოსმან-ალა.

„დაიმდარაგა"

ლიუტერმა დიდი ვაი-ვაგლახით შეადგინა გერმანიის ახალი მთავრობა, რომელსაც დიდიხნის არსებობა არ უწერია, რადგან გერმანიის შინაური მდგომარეობა ვერ არის მტკიცე.

(გაზეთებიდან)

მოთავებული იყო
ყველა „მინისტრთა რიგი"
და სამინისტრო კაცსა
ვერ ნახულობდა იგი.

მთავრობის შესადგენად
სჭიროდა იმას შველა...
ვისაც კი მიმართავდა
შორ-შორს გარბოდა ყველა.

შეხანხლა როგორც იქნა,—
პორტფელი დაარიგა...
(ახალსაც მოინელებს
„კეთილი ერთა ლიგა").

„დიდი კაცი"

სვანეთის რაი-გამგე*) არის პავლე დიდია.
თავის თავზე მზრუნველსა,—სხვა ფეხებზე ჰკიდია.
თვალთ უმშვენებს სათვალე, აქ მაღალი ტანია
ამ ქვეყნად ცხოვრებაში ბევრი აუტანია.
გოსუდ-კანტრ პალატაში იყო რევიზორია,
ეხლაც კედლებს აჩნია მისი გვარი სწორათა.

ტრესტმა დაიახლოვა,—გაუთენდა დღეობა;
უბოძეს მას სვანეთის მართვა-გამგეობა.
შეიმოსა სომარ ლახტ-ზარბაზან შუბითა
და სვანეთში წავიდა ის მაგარი შუბლითა.
ამბობს: „მე ვარ ხე-ტყისა კარგი მცოდნე, სპეცია".
დღე და ღამე ქაღალდებს სწერს,—და დაუკეცია.
ვინც არ მოეწონება სიტყვებს ეტყვის უკმაკურს
ვისაც აუხირდება,—დაუკარგავს ლუკმა-პურს.
არის აუტანელი მასთან სამსახურია
(განა იგიც კაცია და ქუდი ახურია?!)
თუ შამგონის ქარხანამ დაჰკარგა იასონი,—
ნაცვლად პავლე მონახა, იასონის ადგილი...
რაღას ნაღვლობ ქარხანავ, ან რად მოგიწყენია,
იასონი თუ არ გყავს დღეს პავლე ხომ შენია.
გირჩევ თავი ანებო, პავლეო, კაცის კბენასა
დღეს სხვა დროა, იცოდე, და ნუ წამლავ ენასა.
დაეთხოვე სხვებისა ლანძღვასა და წყენასა,
თორემ შენც დაგითხოვენ, იწყებ გარედ რბენასა,—
მაშინ წარმოგიდგება შენი კარგი საქმენი...
ოთხი კაცი უმარილოთ. რომ დასაჯე, რად ჰქენი?!

ამბობ: „ტყეს მე ვეყოფი; იხეინერი არ უნდა"...
ისე როგორ დაეცა, ისე როგორ გახუნდა,
რომ ინჟენერს შენდენი არ ესმოდეს აზრათა!
(აბა. უნდა გავრეკოთ გასასყიდათ ბაზრათა).

საკოდავი დარაჯი მისთვის არის განზეცა
ამბობს: „ასე ცხოვრება ვარგა ქვეყანაზედა?"
ახგარიშს ვინ გაუწევს, მისთვის არვის სცალია;
ბედს უჩივის, არ ესმის, ვერ სცნობს ვისი ბრალია.

„რწყილი".

ვინ არის დამნაშავე?

გადამეკიდა ცოლი:—გინდა თუ არა „ვინ არის დამნაშავე" უნდა ვნახოო...

ყველა მეზობლები წავიდენ... მეც ავდექი და წავედი; ერთი მანეთი მქონდა შემონახული „შავი დღისათვის".

დიდხანს არ მოგვიწია ცდა; პირველმა ნომერმა რონოდამ ჩამოიარა. მე, როგორც ზრდილობიანმა კაცმა, ჯერ ჩემი ცოლი ჩავსვი რონოდაში,—და ის იყო მეც ვაპიოებდი ჩაჯდომას, რომ ამ დროს რონოდა დაიძრა... რა მექნა; ხომ არ დავრჩებოდი,—მეც შემოვახტი...

მაგრამ ისევ გააჩერეს... ჩემთან კონდუქტორი მოვარდა და ქვითარი შემომაჩეჩა ხელში.

— ათი შაური ჯარიმა... თუ ბევრს ლაპარაკს დიაწყებ, კომისარიატში გაგაგზავნი და იქ კი მანეთიც არ გეყოფა.

რა მექნა... გადავიხადე... თავი აღარ შევირცხვინე... მე სულელმა კიდევ ბილეთი ვიყიდე...

„აპოლოსთან" ჩამოვხტით... და რადგან ბილეთის ფული აღარ გვქონდა, მე და ჩემი ცოლი, სახლში დავბრუნდით.

მეორე დღეს ისევ წავედით, (მხოლოდ ეხლა კი ტრამვაით არ წავსულვართ; მეშინოდა: კიდევ ისე არ დამმართოდა).

როგორც იქნა ბილეთი ავიღეთ და შევედით წინა

*) რაიონის გამგე.

„დატვირთული"

თელავში სკოლის დარაჯს, რომელიც თვეში რვა მანეთს ღებულობს, ვალდებულად ხდიან ემსახუროს სკოლას, საბავშო ბაღს და სალიკვიდაციო პუნქტს.

ნეტავი დღედალამეში ორმოცდარვა საათი იყოს. იქნებ მაშინ შევასრულო ამათი ბრძანებები.

დარბაზში.

როცა პირველი სეანსი გათავდა და კარები გაიღო, შენი მტერია, ისე მოგვაწვენ, რომ ჩემი ცოლი სადღაც დამეკარგა...

დავიწყე ძებნა, მაგრამ სად ნახავ... ვიღას ეცალა სურათის საყურებლად.

ბოლოს, როგორც იქნა, ვნახე მისი შარფი და ცალი ფეხსაცმელი.

„მოშინაურებული ვირთხები"



კიკოლიკოს ბიბლიოთეკა: ბალეს ავტო მიჰყავდა, მაიმუნი თოფით საგუშაგოზე იდგა და სხვა ასეთები.

ყველა ეს თვალთმაქცობა მეგონა.

მაგრამ ამიერიდან კი მჯერა, რომ ეს სიმართლე იქნებოდა.

ანდა რა არის აქ შეუძლებელი, როცა ხაშურის ტელეგრაფის სადგურში ვირთხები ისე მოუშინაურებიათ და ისე გაუწვრთნიათ, რომ ტელეგრაფისტების საქმეს აკეთებენ.

ვირთხები ღებულობენ დეპეშებს.

ეს ვირთხები მეტად კარგი ჯიშის არიან, სიდიდით შინაური კურდღლებს არ ჩამოუკოლდებიან, ადგილობრივ ისე შეეჩვიენ, რომ ჯიბეშიც კი უძვრებიან.

ადგილობრივმა მეყასბეებმა თხოვნით მიმართეს ტელეგრაფის სადგურის უფროსს, რათა მიეყიდათ მათთვის ეს ვირთხები; სამაგიეროთ მეყასბეები პირდებოდენ ხორცზე ფასის დაკლებას.

უმუშევარი ტელეგრაფისტები ათასგვარ მახეს უდგამენ, მაგრამ ვირთხები ყოჩაღად არიან და განაგრძობენ უშიშრად მუშაობას.

კიკოლიკო.

სატარტაროზო

(„ტარტაროზი"-ს საკუთარი აგენტებისაგან)

იპოვეს

ჩიბათის თემში (გურია) აღმოაჩინეს ერთი ბოჭკა დაკარგული ღვინო. ოქმის შესადგენად მოწვეულ იქნა თემაღმასკომის თავმჯდომარე, რომელმაც თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულა: მოიწვია ღვინის მცოდნენი „თიო-თიო"-ს საზოგადოებისგან. გაშინჯვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ღვინო ყურძნის წვენისგან ყოფილა დამზადებული, და ნახევარზე მეტი იქნე შესვეს.

ღვინის პატრონი დაჯარიმებულია.

ხუმტური.

„დაკა-დაკა"

სამტრედიის რკინის-გზის თეატრში, როცა მზადდებოდა: „ზიპო და ცანცარა", მსახიობთა შორის მოხდა შეტაკება, რამაც იმსხვერპლა რამოდენიმე სკამი და ზოგიერთების გვერდები.

მილიციაც ასეთი უნდა

ხობში (ზუგდიდის მაზრა), დღის თორმეტ საათზე ადგილობრივი მილიცია თავს დაესხა ცხობილ ყაჩაღს—ქაჯაიას. სროლის დროს დაიჭრა ექვსი მუხა, ოთხი წიფელა, ორი თხმელა და ერთი ბინოკლი.

ხობის მილიციას კიდევ არ სჯერა, რომ ყაჩაღი გაქცეულია და გთხოვთ დააჯეროთ.

გვიანი.

პორტფელი

ცენტრალურ მუშფაკში გასაყოფია ერთი პორტფელი, რომელიც თვეში ღირს 150 მან. ჯერ-ჯერობით მხოლოდ ოთხთა შორის არის ბრძოლა... ტარტაროზო, შენ თუ მათ შორის ზავი არ ჩამოაგდე, მოსალოდნელია ბრძოლაში სხვებიც ჩაერიონ.

„არ-მოდვა".

გასამართლება

ნახუტურში გამართეს გოგია უიშვილის ლიტერატურული გასამართლება, რომლის დროს მსაჯულთა და ვექილთა შორის მოხდა ჩხუბი.

გამოიტანეს შემდეგი განაჩენი: გოგია არ არის დამნაშავე სიკვდილში, რადგან იგი არ მომკვდარა ბუნებრივი, ჩვეულებრივი სიკვდილით, არამედ თოფმა მოჰკლა.

გოგიას არ გაუუპატიურებია ოჯახი, რადგან სახლი წაუტაცეველი და დაუნგრეველი დასტოვა.

მხოლოდ, რადგან გოგია უიშვილმა ამდენი ხალხი მოაცდინა, მიესაჯოს მას ნახუტურის თეატრის დასუფთავება. ეს მადლიანი საქმე თუ კი ჰქნა, შუამდგომლობა აღუძრათ ღმერთის წინაშე, რათა იგი სამოთხეში იქნას გადაყვანილი (თუ ვინიცობაა ეხლა იგი ჯოჯოხეთშია).

ტარტაროზის „ძმისშვილი".

ნიგვზიანი

მე გავიგონე, როდესაც
ირაკლიმ უთხრა სერგოსა:
„რას იზამ, სერგო მითხარი,
„რომ უფროსობა გერგოსა?!

„მოგეხმარები, გიშველი,
„გაგატანიებ ლელოსა;
„ხოლო შენ რამდენს დახარჯავ
„ამ საქმის გასამჯელოსა?“

სერგომ მიუგო: „ო, ძმაო,
„აგი რა გასამხელია!
„სამსახურს როგორ მივიღებ
„ამოინ ცოდვების მქნილია?!

„ჩემი ხრიკებიშენც იცი,—
„აეცაცლე თუ რამდენია!?
„და შენ ნახევარს გაგიყოფ,
„რაც ქაფი ამიდინია

„შეხა ხარ, ძმაო, მარტო შენ
„ამ საქმის მცოდნე სპეცია...
„ვინც გადაუხვევს შენს დეკრეტს
„იგი მართლაც რომ ბეცია.

„ტუალეტი მე რას დამა[illegible]ებს
„თუ კი რომ მწყალობ, ლომია.
„განა იმათში ტოტაა
„ჩემებრ ორ სკამზე მჯდომა?!

„შეი იქ იძარჯვე, სადაც ხარ
„ყველას აუკარ პირია;
„ვერავინ რამეს დაგაკლებს,—
„შეგრჩება როგორც ჩირია“.

ხუშტური.

კიკოს (არაგვეთი). თქვენ გვწერთ, რომ:

ზეციდან ჩამოვიარე,
სოფელს ვეწვიე არგვეთსა;
სოფელი კარგი ყოფილა,
მაგრამ აკლია კულტურა.

მაგრამ, როგორც თქვენი წერილის ლაზათიანობა აშტკიცებს, თქვენ უფრო მეტი გაკლიათ ეს რაღაც კულტურა არის.

გამსახლის ეკალს. (ქუთაისი) იწერებით, რომ:

გამსახლის ადგილკომის პ.-მ. მდივანმა ლ. ვაშაკიძემ გამსახლის თანამშრომლების თანხლებით იქვიფა... და მეტლეს ფული არ მისცია.

გაგებინეთ გამსახლის უფროსს... ადგილკომის ოთახიდან სატუსაღო ოთახში გადასაყვანად არ დაგჭირდებათ ეტლი. რაღა აქ გვითვლი მაგის წამალს, როცა მანდვე ყოფილა.

„საუზმეს“ (საჯაიახო). თქვენი შარადიდან გამოდის: ქორიძე, რომელიც აღმასკომის მდივანი ყოფილა.

იგი მეტად უხეშად ეპყრობა გლეხებს; ასე გეგონებათ შეჭმას უპირებსო.

შეუძახეთ ერთი ოქში და მაქედან გადაფრინდება.

აგრაფინა ჭოჭუას (სამტრედია, თბილისის ქუჩა № 26) ძალიან ხშირად მოგვდის თქვენი წერილები, მაგრამ შინაარსს მაინც ვერ მივხდით, რადგან ყოველთვის ერთი და იგივე ამდა-უმდაა.

არ იწერებით, თუ რა უნდა გავაგებინოთ იონა ნაჭყეპიას . სცადეთ; იქნებ უშუალოდ უფრო გაუგებინოთ იმ კაცს თქვენი გულის მწუხარება. ამიერიდან წერილი არ გამოგზავნოთ.

ველიკოშვილს (დიდი-ჯიხაიში). თქვენს მღვდელ—ვასოს თურმე:

თომა დიაკვნათ უდგია,
ხანჯალი აქვს კარგი გრძელი,
რომელმაც რომ ტრაპეზის წინ
დაუმშვენა თომას წელი.

აქ არაფერი საოცრება არ არის. ჩვენში მღვდელიც და დიაკვნაც ორივე ხანჯლოსანი არიან, მაგრამ ჩვენ არც ერ გიკვირს. სასულიერო პირებს სწამთ, რომ ავსულს

ძალიან ეშინია ოპოზიციისაგან ცივი იარაღის.

თავის დაცვის მიზნით ტარტაროზი ვერ აუკრძალავს მათ იარაღის ტარებას.

თქვენ შეგიძლიათ თქვენი დიაკვნის განიარაღების საკითხი დასვათ ეპენევის კონფერენციაზე, რომელიც ახლო ხანში გაიხსნება.

გვარიანს (ცაიშის თემ. ზუგდიდის მაზრა). ალმასიამ და პაკორიამ რამდენიც არ უნდა ეძებონ ტარტაროზის აგენტი მაინც ვერ ნახავენ... ხოლო მოსალოდნელია, ამ ძებნის დროს თვით ტარტაროზს წაიწყდენ და, მაშინ კი „ვერც ექმისი ბოთლი ღვინო უშველის“.

დი-ლეს. (ასკანა, გურია). „უკაცრავად სიტყვაა“, მაგრამ მასწავლებელ იპატის „ახალ სიტყვებს“ ვერ დავბეჭდავთ. კარგი იქნებოდა იპატისთან ერთად ერმალო თავისი დოქით განათლების განყოფილებაში წარგედგინათ. ჯერ კიდევ არ არის დაგვიანებული.

უკუღმართელს (წითელმთა, გურია). ვარლამის შესახებ იწერებოდი, რომ:

გაფლანგვას თუ არ ჩაუთვლით,
გაქაფვას იყო ჩვეული

. . . . . .

სახლში ბარგის გადაზიდვა
არ აღმოჩნდა მეტად ძნელი
სიძეც ვარლამს ხელს უწყობდა,
იყო მისი მწყალობელი.

და ყველა ამ სიკეთეს შემდეგ:

ვარლამი უფრო ამაღლდა:
თავი ამოჰყო თბილისში.

ვერ უვარგია თქვენს კომისიას, თორემ ვარლამი უფრო ამაღლდებოდა, რადგან რუსთაველის პროსპექტზე უფრო მაღალია მეტეხი.

შიხტაპიტის (უფლისციხე). ჩვენთვის ახალი ამბავი არ არის, რომ:

უფლისციხის სადგურში სკამები არ არის. მგზავრებს შემოაქვთ ძველი შპალები და ზედ სხდებიან.

კიდევ კარგი, რომ: სადგურის უფროსს ძველი შპალები თავის კაბინეტში არ დაუწვავს, როგორც ეს მრავალ სადგურებში ხდება.

ყველამ... ყველამ... ყველამ...

გამოწერეთ

გაზ. „მუშა“

როგელსაც აქვს ყოველკვირეული უფასო დამატება იუმორისტული ჟურნალი

„ტარტაროზი“

დღეს, პირას და ხპალ, ოროშაგათის პიდევ მიიღეგა თეგსრვლისათვის ხელისმოწერა